ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 577 44 40 60
577 47-43-34

N 188
24/11/2016

188-08-4-201611241617

საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი " 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის , 61 -ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 ოქტომბრის №46 დადგენილებით დამტკიცებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-40 მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ:

1.მიმდინარე წლის 30 ნოემბერს, დღის 12 საათზე, მოწვეულ იქნეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

1.1. ფრაქციის „ქართული ოცნება-ეროვნული ფორუმის" რეგისტრაციის გაუქმების შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

1.2. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის N53 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

1.3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის ცხრა თვის შესრულების შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

1.4. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ" - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის N19

დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: ბექა შენგელია

1.5. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: ნიკოლოზ დუმბაძე

1.6. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

1.7. ,,სესხის აღების თაობაზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“.

მომხსენებელი: თეა უჯმაჯურიძე

1.8. ,,ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა 2017 წლის წლიური სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“.

მომხსენებელი: თეა უჯმაჯურიძე

1.9. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფ. შუა ფარცხმაში მდებარე 255.00 კვ.მ. არასასიოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - 28.03.22.080) ნაკვეთზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობაში არსებული 10.8 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის იჯარის ფორმით გაცემის თაობაზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებლობისთვის საკრებულოს თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: ლელა მდინარაძე

1.10. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს შორის 2015 წლის 02 ივლისს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ხიდისთავში მდებარე შენობა-ნაგებობასა და მასზე დამაგრებულ 315.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - 28.09.25.050) გაფორმებული უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების მოქმედების ვადის 2047 წლის 01 იანვრამდე გაგრძელების თაობაზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

1.11.„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 4 თებერბლის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

1.12.ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის 30 ოქტომბრის N46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

1.13. დაბა ჩოხატაურში გურიის ქუჩისათვის სახელის გადარქმევისა და გივი მათითაიშვილის სახელის მინიჭების შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. # 4.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა